შპს „მაქსი სტილი“

ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. №19, ტელ. 95-16-00

22 აპრილი 2015წ № 2–10

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გუდამაყრის №4-ში სკოლა ”პოლიგლოტი”-ს შენობაზე მიშენება-დაშენების შესაძლებლობის შესახებ

მოცემულ ტერიტორიაზე მიახლოებით XX საუკუნის ბოლოს აშენებულ იქნა ორსართულიანი შენობა, ზომებით გეგმაში 10.70X18.25მ. სართულის სიმაღლე 3.00მ. შენობის სიმაღლე დაახლოებით 8.00მ. არსებული შენობის ძალოვან კონსტრუქციას წარმოადგენს მზიდი კედლების წყობა მონ. რკ.ბ. გულარების და სარტყელების მოწყობით, საძირკველი – მონ. რკ.ბ. ლენტური. სართულშუა გადახურვები –ანაკრები რკ.ბ სართულშუა გადახურვის ფილები ე.წ. სინკარები, სახურავი – თუნუქი, ხის ნივნიევბ'ზე. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველ'ზე ფუძე გრუნტი წარმოადგენს თიხნარებს, საანგარიშო წინაღობით R_0=1.8 კგძ/სმ^2.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მზიდ კედლებს და საძირკვლებს არ აღენიშნება ბზარები, დეფორმაციები და ჩამოშლები.

მოც. პროექტი ითვალისწინებს არსებულ შენობაზე მსუბუქი ტიპის მახსარდის დაშენებას და გარკვეული მოცულობის მიშენებას. ესკიზური პროექტის მიხედვით მიშენება წარმოადგენს ტრაპეციის ფორმის ნაგებობას, ორსართულიანი, მანსარდით, მაქსიმალური ზომებით გეგმა'ში 5.80მX21.10მ

ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია საპროექტო მოცულობის განხორციელება მოცემული სახით, კერძოდ არსებულ შენობაზე მსუბუქი ტიპის მანსარდის დაშენება არ მოახდენს ზეგავლენას არსებული შენობის მდგრადობაზე, ხოლო რაც შეეხება მიშენებას იგი უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი შენობის სახით შენობებს შორის ტემპერატურულ-სეისმური ნაკერის მოწყობით და საპროექტო

შენობის საძირკვლების არსებული შენობის საძირკვლების დონეზე ჩასვლით, რათა გამოირიცხოს საძირკვლების ურთიერთზეგავლენა (არსებული შენობის საძირკვლების ჩაღრმავება – 1.6მ)

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩატარებულ სამშენებლო სამუშაოებს არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა არსებული შენობის საერთო მდგომარეობაზე.

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

ექსპერტი
ინჟ. კონსტრუქტორი /ნ. კაციტაძე/

მე ნინო კაციტაძე 1990 წლიდან ვასრულებ საპროექტო სამუშაოებს, 2008 წლიდან ვარ შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირექტორი, სადაც ვარ პროექტის მთავარი კონსტრუქტორი და ვასრულებ საპროექტო სამუშაოებს, ასევე მიწევდით ვთანამშრომლობ შ.პ.ს. "პროექტ"-თან, შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტთან"- თან; შ.პ.ს. "არქ-სტუდიოსთან", შ.პ.ს. "აკო"-სთან.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, კრწანისის ქ. №21.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, სანდრო ეულის ქ. №5

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, რჩეულიშვილის ქ.№11

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, უნივერსიტეტის ქუჩა

— ქ. თბილისში, ვახუშტის ხიდიდან გ. სააკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე მდებარე №16/77 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა.

— საავჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, თემქის III მ/რ, V კვ.

— ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვახუშტის ხიდიდან სააკაძის მოედნისკენ მიმამაეალ გზაზე ნაკე 16/054 საავჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

— გლდანის რაიონში, ვასაძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლი

და სხვა.

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს
დირექტორი: /ნ. კაციტაძე/

საქართველო

დიპლომი უა № 003157

მიეცა ნინო ჯუმბერის ასულ კაჭიაძეს

მასზე, რომ ის 1989 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1995 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი

„სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის" სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით

ნ.ჯ. კაჭიაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი რ. ხუროძე

მდივანი ჰ. ბუჩუკური

ბ. ა.

ქალაქი თბილისი „23" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1995.

სარეგისტრაციო № 4198